ხელშეკრულება N36-ბ/15

**დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი ;**

**საფუძველი: საქ. მთავრობის 2015 წლის 11.02. N173 განკარგულება**

ქ.თბილისი 13 მაისი 2015 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემის კომპანიის" მიერ, **საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის N173 განკარგულებით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში**, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელების მიზნით:

ერთის მხრივ, შპს „საქართველოს მელიორაცია", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორი ლევან დვალის სახით, შემდგომში ,,შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, ფ.პ ,,ნიკოლოზ კავთიევსკი"-ს სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი და ღირებულება**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად ,,მიმწოდებელი'' კისრულობს ვალდებულებას საკუთარი პასუხისმგებლობით ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით უზრუნველყოს ,, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის თბილისის წყალსაცავზე, ქვემო მაგისტრალური არხის და II რიგის გამანაწილებლების (გ-5, გ-5-1, გ-6, გ-15 და გ-16 7120 ჰა-ზე) სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტზე" ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (CPV-71247000 ) (შემდგომში – „მომსახურება'') (მოხ. ბარათი NMOA 3 15 00016909, ტენდ. ხელშ. N54-ბ/14;)

1.2 შესრულებული მომსახურების საზღაური საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით შეადგენს 2150 (ორიათას ას ორმოცდაათი) ლარს ყოველ სრულ კალენდარულ თვეზე, ხოლო არასრულ მაისის (6 მაისიდან) თვეზე გაწეულ მომსახურებაზე მოხდება დღეების პროპორციულად გადაანგარიშება. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 2150 (ორიათას ას ორმოცდაათი) ლარს, მათ შორის სახელშეკრულებო ღირებულების საშემოსავლო თანხა - 430 (ოთხასოცდაათი).

2. **მხარეთა უფლება-მოვალეობები, მომსახურების სახეები და ანგარიშგება**

2.1. ''შემსყიდველი'' ვალდებულია:

2.1.1 უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით;

2.1.2. ''შემსყიდველი'' უფლებამოსილია მოსთხოვოს ''მიმწოდებელს'' ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.2. **''მიმწოდებელი'' ვალდებულია:**

2.2.1. კეთილსინდისიერად და დროულად შეასრულოს მასზე წინამდებარე ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები;

2.2.2. ''მიმწოდებელი'' უფლებამოსილია მოსთხოვოს ''შემსყიდველს'' ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება;

2.3. **მომსახურების სახეები:**

2.3.1სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის, სარეაბილიტაციო სამუშაოების ვადების, ხარჯთაღრიცხვების და სპეციფიკაციების მოთხოვნების დასაცავად მშენებლობის ტექნიკურმა ზედამხედველმა უნდა უზრუნველყოს:

2.3.2 ტექნიკური ზედამხედველობის სამუშაოების პროგრამის დაცვა-შესრულება;

2.3.3.სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური შემოწმება, აღრიცხვა, დაფიქსირება და ფინანსური ანგარიშსწორების დოკუმენტაციის შემოწმება;

2.3.4 კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოთა აქტის (ფორმა#2) დამოწმება;

2.3.5საჭიროების შემთხვევაში საკამათო საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა; იმ საკითხთა გადასაწყვეტად, რომლებიც აღემატება ზედამხედველის უფლებებს, კომპანიის შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა;

2.3.6 შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების, ხარისხის და ტექნიკური სპეციფიკაციების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება; კონტრაქტორის მიერ სამუშაოთა წარმოების პროგრამის და გრაფიკის დაცვაზე მეთვალყურეობა;

2.3.7კონტრაქტორთან ერთად ფარული სამუშაოების აქტების შედგენა;

2.3.8 სამუშაოების მიმდინარეობის პროცესის ამსახველი ფოტომასალის მომზადება;

2.3.9მეთვალყურეობა კონტრაქტორის მიერ მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობაზე და დროებითი შენობა-ნაგებობების სამუშაოთა წარმოების პროგრამის შესაბამისად განთავსებაზე;

2.3.10.კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი, ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული საშემსრულებლო ნახაზების შესრულებულ სამუშაოსთან შესაბამისობის შემოწმება;

2.3.11ტექნიკური ზედამხედველობის ჟურნალის წარმოება, კონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების მშენებლობის ხარისხთან დაკავშირებული შენიშვნების და დეფექტების აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ყოველდღიური აღნუსხვა.

2.4 **ანგარიშგება:**

2.4.1 ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება მომსახურებასთან ერთად მოიცავს ანგარიშგებას კომპანიის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობის სამსახურისათვის სარეაბილიტაციო სამუშაოთა მიმდინარეობასა და ხარისხზე სრული დეტალური ინფორმაციის მიწოდებას;

2.4.2ტექნიკურმა ზედამხედველმა უნდა უზრუნველყოს კონტრაქტორის მიერ დეტალური პროექტის და ტექნიკური სპეციფიკაციების მოთხოვნების მკაცრად დაცვა. პროექტიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კომპანიის ხელმძღვანელობას და მათთან შეთანხმებით დასახოს ღონისძიებები დეფექტების აღმოსაფხვრელად.

2.4.3ზედამხედველმა უნდა წარუდგინოს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობის სამსახურისახურს შემდეგი ანგარიშები:

2.4.4 საწყისი ანგარიში–საწყის ეტაპზე სამუშაოების მიმდინარეობის და ზედამხედველობის სამუშაო გეგმაში ცვლილებების მითითებით (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);

2.4.5 პერიოდული ანგარიში (მოთხოვნის მიხედვით) – რომელშიც აისახება სამუშაოების მიმდინარეობა განვლილ პერიოდში და ცვლილებები სამუშაო გეგმაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

**3. "მომსახურების" ხარისხი**

3.1. ,,მიმწოდებელი'' იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს ,,შემსყიდველის'' მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

**4. "მომსახურების" გაწევის წესი, მიღება-ჩაბარების წესი, ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ადგილი**

4.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია გაუწიოს "მომსახურება" ,,შემსყიდველს" ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2015 წლის 1 ივნისამდე.

4.2. ,,მომსახურების" ყოველი თვის დასრულებისთანავე "მიმწოდებელს" და "შემსყიდველს" შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირები.

4.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ კომპანიის ზემო სამგორის სერვის ცენტრის უფროსი და მთავარი ინჟინერი.

4.4. ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" წარმოებს უნაღდო ანგარიშსოწრების ფორმით ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

4.5. ანგარიშსწოების ადგილი ქ. თბილისი.

**5. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

5.1. ,,მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეულ ,,მომსახურებას" განახორციელებს კეთილსინდისიერად და ხარისხიანად.

5.2. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვეს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.3. "მომსახურების" გაწევის შედეგად "შემსყიდველისთვის" ან მისი თანამშრომლებისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს".

5.4. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება (რაც შეტყობინების სახით ეგზავნება მეორე მხარეს), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა.

5.5. "მომსახურების" გაწევის დაყოვნების შემთხვევაში "მიმწოდებელი" ვალდებულია გადაუხადოს "შემსყიდველს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

5.6. "შემსყიდველის" მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელს" უფლება აქვს დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგაცილებულ სამუშაო დღეზე გაწეული „მომსახურების" ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
5.7. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
5.8. ზიანის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.
5.9. ხელშეკრულებიდან ვადამდე გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

6.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).
6.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.
6.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.
6.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

## 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
7.2 ხელშეკრულების „7.1." პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კომპანიის ზემო სამგორის სერვის ცენტრის უფროსი და მთავარი ინჟინერი.

## 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის გარემოებები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით.
8.2. "მიმწოდებელთან" დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად "შემსყიდველისთვის" იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
9.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.
9.3 პირველი ინტანციის სასამართოლს გადაწყვეტილება მხარეთა მიერ მისი გასაჩივრების მიუხედავათ დაუყოვნებლივ შედის ძალაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის $1^1$ ნაწილის შესაბამისად.

## 10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 1 ივლისის ჩათვლით.

## 11. დასკვნითი დებულებები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორ) თანაბარმნიშვნელოვან იდენტურ ეგზემპლარად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის მხოლოდ წერილობითი ფორმით შესრულებისა და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

11.4. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

11.5. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა ნაწილების ნამდვილობაზე.

11.6. ნებისმიერი ცვლილება/დანართი/დამატება წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 12. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

| | |
|---|---|
| "შემსყიდველი"<br>**შპს ,,საქართველოს მელიორაცია"**<br><br>საინდენტიფიკაციო კოდი: 204524568<br>მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6<br>ს/ს ,,საქართველოს ბანკი"<br>ბანკის კოდი: BAGAGE22<br>ა/ა: GE58BG0000000182323100<br><br>ლევან დვალი<br>**გენერალური დირექტორი:** | "მიმწოდებელი"<br>**ფიზ/პირი**<br>**"ნიკოლოზ კავთიევსკი"**<br>პირადი №01017011275<br><br>მის: თბილისი ფასანაურის N14;<br><br>ს/ს ,,საქართველოს ბანკი"<br>ბანკის კოდი: BAGAGE22<br>ა/ა: GE85BG0000000312713700<br><br>**ფიზ/პირი**<br>**ნიკოლოზ კავთიევსკი** |